თბილისი მხურვალედ მიესალმა თავის ძვირფას სტუმრებს

ფიდელ კასტრო რუსთან და ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვთან შეხვედრა თბილისში. სურათებზე: ფიდელ კასტრო რუსი, ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი, ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი და გ. ს. ძოწენიძე; მარჯვნივ — თბილისელები მიესალმებიან ძვირფას სტუმრებს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა, გ. ვახტანგაძისა და მ. კვირიკაშვილისა.

ჰროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 128 (12640)
კვირა, 2 ივნისი, 1963 წ.
გამოცემის 43-ე წელი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ფასი 2 კაპ.

ქართველი ხალხი აღფაცებით შეხვდა ფიდელ კასტრო რუსსა და ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს

ჯერ კიდევ დილიდანვე გავრცელდა სასიხარულო ცნობა, რომ თბილისში ჩამოდიან კუბის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის პირველი მდივანი, კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო რუსი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი.

ათასობით ადამიანი გამოვიდა ქუჩებში და მოედნებზე. ნიავი არხევს ტრანსპარანტებს, რომლებზეც ესპანურ, რუსულ და ქართულ ენებზე წარწერილია: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ძვირფასო სტუმრებო!“, „ახალ წარმატებებს ვუსურვებთ კუბას!“, „გაუმარჯოს საბჭოთა და კუბელი ხალხების მარადიულ და ურღვევ მეგობრობას!“.

ნაშუადღევს რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები ასობით მსუბუქი ავტომანქანით, ავტობუსებით გაემგზავრნენ მცხეთაში, რათა შეხვედროდნენ ძვირფას სტუმრებს. აქ მოვიდნენ **გ. ნ. ბოჩკარიოვი, გ. ა. გეგეშიძე, ო. დ. გოცირიძე, მ. ი. კუჭავა, დ. გ. სტურუა, ა. ტ. სტუჩენკო, გ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ჭანუყვაძე, გ. ი. ჩოგოვაძე, რ. ი. ფრუიძე** და რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

ახლოვდება დიდი ხნის ნანატრი დრო. საღამოს ხუთ საათზე მცხეთის სადგურის ბაქანს მოადგა მატარებელი. ვაგონიდან გამოდიან **ფიდელ კასტრო რუსი** და **ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი**, რომლებსაც ახლავან **ვ. პ. მჟავანაძე** და **გ. დ. ჯავახიშვილი**. გაისმის მქუხარე ტაში, მისალმების შეძახილები. პიონერებმა ფერად ყვავილთა თაიგულები მიართვეს ფიდელ კასტრო რუსსა და ნ. ს. ხრუშჩოვს.

ფიდელ კასტრო რუსთან ერთად ჩამოვიდნენ კუბის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის წევრი, რევოლუციური შეიარაღებული ძალების მინისტრის მოადგილე **სერხიო დელ ვალიე ხიმენესი**, სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის წევრი, კუბის დასავლეთის რევოლუციური არმიის სარდალი **გილიერმო გარსია ფრიასი**, სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის წევრი, კუბის რევოლუციური სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი **რაულ კურბელო მორალესი** და სხვა კუბელი მეგობრები.

ჩამოსულთა შორის არის სსრ კავშირის ელჩი კუბის რესპუბლიკაში **ა. ი. ალექსეევი**, რომელიც კუბელი ხალხის წარმომადგენლებს ახლავს საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს.

ფიდელ კასტრო რუსი, ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი და ვ. პ. მჟავანაძე ავტომანქანაში ჩასხდნენ. კვლავ გაისმის მქუხარე ტაში, შეძახილები „ვივა კუბა!“, „ფიდელ-ხრუშჩოვ — ერთად!“, გაისმის მგზნებარე მისალმებანი კუბელი ხალხისადმი. ავტომანქანები საქართველოს წარმტაცი სამხედრო გზით დაიძრნენ თბილისისაკენ.

კოკისპირული წვიმის მიუხედავად ათასობით ადამიანი გამოვიდა, რომ მისალმებოდა ფიდელ კასტრო რუსსა და ნ. ს. ხრუშჩოვს.

კოლონა ქალაქის მაგისტრალზე გამოჩნდა. და აქ ტროტუარების გაყოლებით, სახლების აივნებზე, ახალშენებათა ხარაჩოებზე დგას ათი ათასობით ადამიანი. დღეს რესპუბლიკის დედაქალაქში ყვავილების ტრადიციული დღესასწაულია. და მეტად სიმბოლურია, რომ იგი დაემთხვა ფიდელ კასტრო რუსისა და ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის ჩამოსვლას. თითქოს, მთელი ყვავილები, რომლებითაც ესოდენ მდიდარია ქართული მიწა, ხალხმა ძვირფას სტუმრებს მიართვა.

მანქანებმა ჩაუარეს ცოცხალ კორიდორს, ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი, ფიდელ კასტრო რუსი უპასუხებენ თბილისელთა მხურვალე მისალმებას. მათთან ერთად მოვიდნენ, რათა გამოეთქვათ კუბის ეროვნული გმირის ფიდელ კასტრო რუსისა და ხალხთა მშვიდობისა და ბედნიერებისათვის დაუცხრომელი მებრძოლის ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვისადმი სიყვარულისა და უსაზღვრო ერთგულების გრძნობები, ახალგაზრდა კუბელები, რომლებიც ახლა რუსთავის საქალაქო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში სწავლობენ.

ფიდელ კასტროსა და ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის აღტაცებულმა შეხვედრამ ცხადყო, თუ რაოდენ გულითადი და გულწრფელია საბჭოთა კავშირისა და კუბის რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობა.

(საქდესი).

ძმური მეგობრობისა და გულითადობის ვითარებაში

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1 ივნისს საღამოს დარბაზობა გამართეს კუბის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის პირველი მდივნის, კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრის **ფიდელ კასტრო რუსისა** და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის **ნ. ს. ხრუშჩოვის** პატივსაცემად.

დარბაზობაზე იყვნენ კუბის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის წევრი, რევოლუციური შეიარაღებული ძალების მინისტრის მოადგილე **სერხიო დელ ვალიე ხიმენესი**, სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის წევრი, კუბის დასავლეთის რევოლუციური არმიის სარდალი **გილიერმო გარსია ფრიასი**, სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის წევრი, კუბის რევოლუციური სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი **რაულ კურბელო მორალესი** და სხვა კუბელი მეგობრები.

მიღებაზე აგრეთვე იყვნენ **გ. ნ. ბოჩკარიოვი, გ. ა. გეგეშიძე, ო. დ. გოცირიძე, მ. ი. კუჭავა, ვ. პ. მჟავანაძე, დ. გ. სტურუა, ა. ტ. სტუჩენკო, გ. ს. ძოწენიძე, გ. დ. ჯავახიშვილი, შ. ი. ჭანუყვაძე, გ. ი. ჩოგოვაძე, რ. ი. ფრუიძე**, სსრ კავშირის ელჩი კუბის რესპუბლიკაში **ა. ი. ალექსეევი**, საქართველოს სსრ მინისტრები, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, საქართველოს მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

დარბაზობის დროს, რომელმაც ძმური გულითადობის ვითარებაში ჩაიარა, **ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა, ფიდელ კასტრო რუსმა, ვ. პ. მჟავანაძემ** და **გ. დ. ჯავახიშვილმა** წარმოთქვეს მეგობრული სიტყვები.

სტუმრებისათვის გაიმართა კონცერტი ქართული ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით. (საქდესი).

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ამხ. ლარგი გუჰალი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა 31 მაისს მიიღო ალჟირელ კომუნისტთა ერთ-ერთი ხელმძღვანელი ამხანაგი ლარბი ბუჰალი, რომელიც სოჩის რაიონში იმყოფება დასასვენებლად და სამკურნალოდ.

ნ. ს. ხრუშჩოვისა და ლ. ბუჰალის საუბარმა გულითად, მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა.

ინგლისელი პარლამენტარები მოსკოვში

მოსკოვი, 31 მაისი. (საქდესი). დღეს მოსკოვში სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის მოწვეით ჩამოვიდა ინგლისი-საბჭოთა კავშირის საპარლამენტო ჯგუფის დელეგაცია. დელეგაციას ხელმძღვანელობს ამ ჯგუფის თავმჯდომარე, დიდი ბრიტანეთის პარლამენტის წევრი **სერ სიდნილ ოსბორნი**.

ს. ოსბორნმა თქვა, რომ „საბჭოთა კავშირში პირველად ჩამოდის ასეთი წარმომადგენლობითი საპარლამენტო დელეგაცია“. თვითონ ს. ოსბორნი სსრ კავშირში უკვე შეჯერ იყო. „და ყოველთვის, — თქვა დელეგაციის მეთაურმა, — სულ უფრო მომწონს თქვენი ქვეყანა“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს

საბჭოთა საქართველოს ქალთა რესპუბლიკური აქტივის მონაწილენი, რომლებიც შეიკრიბეთ, რათა განვიხილოთ, თუ რა ამოცანები ეკისრებათ ქალებს პარტიის XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში, მხურვალედ მოგესალმებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, თქვენ, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ, და გულითად მადლობას გიძღვნით მშრომელი ქალების, დედების, მთელი საბჭოთა ხალხის ნათელი მოძავლისათვის დაუცხრომელი ზრუნვის გამო.

დიდი ლენინის, ლენინური პარტიის მზრუნველობის შედეგად საბჭოთა ქალებს შექმნილი აქვთ შესანიშნავი პირობები, რათა აქტიური მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოს მართვაში, ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. დღეს საბჭოთა ქალები პარტიის გენერალური ხაზისათვის, კომუნიზმის აშენების დიადი პროგრამის განხორციელებისათვის შეგნებულ მებრძოლთა მრავალმილიონიან მონოლითურ რაზმს წარმოადგენენ.

ჩვენ ვიცით, რომ კომუნიზმი შენდება საზოგადოების ყველა წევრის შრომით ჩვენთვის, ჩვენი შვილებისა და შვილთაშვილებისათვის. ამტომაც ქალებს ღრმად აქვთ შეგნებული პირადი პასუხისმგებლობა კომუნისტური მშენებლობის პროგრამის განხორციელებისათვის, შვიდწლედის მეხუთე წლის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის. ისინი ენთუზიაზმით შრომობენ ფაბრიკა-ქარხნებში და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ლაბორატორიებსა და სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში, სკოლებში, საავადმყოფოებსა და თეატრებში, მთელ თავიანთ ძალღონესა და უნარს ახმარენ მომავალი თაობის აღზრდას საბჭოთა სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის, პარტიისა და ხალხის საქმისადმი ერთგულების სულისკვეთებით.

მომდინარე წლის ივნისში, მოსკოვში შეიკრიბება ქალთა მსოფლიო კონგრესი.

ჩვენ, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ქალმა, ვიცით, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა გვეკისრება მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში.

ჩვენ ყველა ღონისძიებით შევუწყობთ ხელს კონგრესის წარმატებას, ქალთა საერთაშორისო მოძრაობის ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებას ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის საკეთილდღეოდ.

საბჭოთა საქართველოს ქალები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, მხურვალედ იწონებენ მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პოლიტიკას, ყველა ხალხის მეგობრობისა და თანამშრომლობის პოლიტიკას, რომელსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მეთაურობით ახორციელებენ. მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით, რომ სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა არ ნიშნავს და არც შეიძლება ნიშნავდეს კომუნისტური და კაპიტალისტური იდეოლოგიების მშვიდობიან თანაარსებობას. მტრები ლამობენ მოწამლონ ჩვენი შესანიშნავი ახალგაზრდობის, ჩვენი ბავშვების შეგნება, დაუკარგონ რწმენა და შთაუნერგონ ცინიკური ნიჰილიზმი. მაგრამ ეს განზრახვა ამაო ცდაა. და დღეს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, მტკიცედ ვაცხადებთ, რომ ჩვენი ვაჟები და ქალიშვილები იყვნენ და კვლავაც იქნებიან მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების, კომუნიზმის მაღალი იდეალების უსაზღვროდ ერთგულნი.

ამ ღირსშესანიშნავ დღეებში ჩვენ სოლიდარობას ვუცხადებთ კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელ ქალებს, აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ქალებს, რომლებიც იბრძვიან დამოუკიდებლობისა და განთავისუფლებისათვის, და ღრმად გვწამს, რომ შორს არ არის ის დღე, როდესაც პირისაგან მიწისა აღიგვება სამარცხვინო მონობის გადმონაშთი — კოლონიალიზმი.

ერთხელ კიდევ გვსურს დავარწმუნოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და პირადად თქვენ, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ, რომ საბჭოთა საქართველოს ქალები ყოველთვის იქნებიან კომუნიზმის მშენებელთა დიადი არმიის აქტიური მებრძოლნი.

გაუმარჯოს ჩვენს დიად საბჭოთა სამშობლოს!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის გამბრძძედილ ბელადს!

გაუმარჯოს კომუნიზმს — მთელი კაცობრიობის ნათელ მომავალს!

ჟიონერებმა ყვავილები მიართვეს ფიდელ კასტრო რუსსა და ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა, გ. ვახტანგაძისა და მ. კვირიკაშვილისა.

თბილისი მზურვალედ მიეგებოდა თავის კვირფას სტუმრებს

სურათზე: ფიდელ კასტრო რუსი და ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი მანქანით თბილისისაკენ მიემგზავრებიან.

ფოტო ვლ. ბინზბურგისა, ბ. ვახტანგაძისა და მ. კვირიკაშვილისა.

ქალებს — სახელოვან და დაუცხრომელ მშრომელებს!

ქალთა აქტივის რესპუბლიკურ კრებას

ძვირფასო ამხანაგო ქალებო!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მოგესალმებთ თქვენ, ქალთა აქტივის რესპუბლიკური კრების მონაწილეებს, და თქვენი სახით საბჭოთა საქართველოს ყველა ქალს — სახელოვან და დაუცხრომელ მშრომელებს, ვისი თავდადებული შრომა სამშობლოს საკეთილდღეოდ, კომუნიზმისათვის, საყოველთაო პატივისცემასა და უადრესად მაღალ შეფასებას იმსახურებს.

საქართველოს მშრომელები, აღფრთოვანებულნი კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებებით, კომუნიზმის მშენებლობის დიდებული ამოცანებით, რაც გამოცხადებულია ყრილობის მიერ მიღებულ პროგრამაში, ყველა მოძმე საბჭოთა ხალხთან ერთად კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელსაც ერთგული ლენინელი ძვირფასი ნიკიტა სერგისძე ხრუშჩოვი მეთაურობს, შესანიშნავ წარმატებებს აღწევენ სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში.

ამ კეთილშობილურ საქმეში თავიანთი ღირსეული წვლილი შეაქვთ საბჭოთა საქართველოს ქალებსაც. ისინი აქტიურად მონაწილეობენ სახელმწიფოს მართვაში. კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში.

დიდი და სანპატიო ქალის როლი მოზარდი თაობის აღზრდაში კომუნიზმის მშენებელთა მორალური კოდექსის კეთილშობილური პრინციპების სულისკვეთებით. მსოფლიოში არსად არ იჩენენ იაფი ზრუნვას ქალის — დედისათვის, როგორც ჩვენს ქვეყანაში. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მუდამ უურადღებით ეკიდებიან ქალს და ზრუნავენ მისთვის, ბევრ რაიმეს აკეთებენ იმისათვის, რომ შემსუბუქდეს ქალის შრომა წარმოებასა და ყოფაცხოვრებაში.

რაც უფრო უახლოვდება ჩვენი ქვეყანა კომუნიზმს, სულ უფრო გაიზრდება ქალის — მშრომელის, ქალის — დედის როლი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოგიწოდებთ თქვენ, აქტივის რესპუბლიკური კრების მონაწილეებს, საბჭოთა საქართველოს ყველა ქალს, უფრო აქტიურად ჩაებათ საყოველთაოსახალხო მეჯიბრეობაში კომუნისტური ეკონომიკის წინასწარ-დასახულებლად ვალდებულებათა ვალდებულებათა შესრულებისთვის.

კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის საჭიროა მშვიდობა. ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ შეინარჩუნონ მშვიდობა დედამიწაზე. ჩვენი რესპუბლიკის ქალები საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელთან ერთად სულითა და გულით მხარს უჭერენ მშვიდობიანი თანაარსებობის, ყველა ხალხის მეგობრობისა და თანამშრომლობის ლენინურ პოლიტიკას, რომელსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ახორციელებენ.

ჩვენი ქვეყნის ყველა ქალთან ერთად საქართველოს ქალები მზურვალედ მიესალმებიან ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის გადაწყვეტილებას, რომ ქალთა მსოფლიო კონგრესი მოეწყოს 1963 წლის ივნისში ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში.

ეჭვი არ არის, რომ კონგრესი დადებით როლს შეასრულებს მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში, ახალ ფურცელს ჩაწერს ამ სახელოვანი ბრძოლის მატიანეში.

ქალთა აქტივის რესპუბლიკური კრება დაემთხვა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, რომელსაც ფართოდ აღნიშნავს მთელი პროგრესული კაცობრიობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მიესალმება ქალთა აქტივის რესპუბლიკური კრების მონაწილეებს და გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ ჩვენი რესპუბლიკის ქალები მუდამ იქნებიან ყველა ხალხის მშვიდობისათვის, შრომისათვის, თავისუფლებისათვის, თანასწორობისათვის, ძმობისა და ბედნიერებისათვის მებრძოლთა ავანგარდში, კომუნიზმის — მსოფლიოში ყველაზე ნათელი, ყველაზე კეთილშობილური და სამართლიანი საზოგადოების მშენებელთა პირველ რიგებში.

პატივი და დიდება საბჭოთა ქალებს — კომუნისტური საზოგადოების აქტიურ მშენებლებს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

ქალთა რესპუბლიკური აქტივის კრება

1 ივნისს გაიმართა ქალთა რესპუბლიკური აქტივის კრება. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ ფაბრიკების, ქარხნების, მშენებლობათა მოწინავე მუშები, საკოლმეურნეო მინდვრების, პლანტაციებისა და ფერმების მშრომელები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული მუშაკები. აქვე არიან სტუმრები, მომძე რესპუბლიკების — უკრაინის, აზერბაიჯანის, სომხეთის, დაღესტნის ქალთა წარმომადგენლები, რომლებსაც გულთბილად მიესალმნენ შეკრებილნი.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **დ. სტურუამ.**

უდიდესი აღმავლობით აირჩიეს კრების საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება ქალთა რესპუბლიკური აქტივის კრებისა და მისი სახით საბჭოთა საქართველოს ყველა ქალისადმი წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების გამგის პირველმა მოადგილემ **ამხ. ნ. ჩერქეზიშვილმა.**

მოხსენება — საბჭოთა საქართველოს ქალების მონაწილეობა სკკპ XXII ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა განხორციელებაში — გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ამხ. **ზ. კვაკაძემ.**

მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომპარტიის ხუთო რაიკომის იდეოლოგიური განყოფილების გამგის მოადგილემ **მ. ტარიელაძემ,** რესპუბლიკის სახალხო არტისტმა **მ. ჯაფარიძემ,** თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის გამომშრალმა **ლ. ტარანმა,** ლენინგორის რაიონის სოფელ ორჯონისნის კოლმეურნეობის მწყველმა **ნ. მელაძემ,** ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქტორმა **თ. აბაშმაძემ,** ქიმიის მეცნიერებათა დოქტორმა **ე. ნანობაშვილმა,** საქართველოს მხატვართა კავშირის აფხაზეთის განყოფილების თავმჯდომარემ **მ. ეშბამ,** მრავალშვილიანმა დედამ **დ. ჟურდიანმა,** პოეტმა **ი. ნონეშვილმა.**

აქტივის კრების მონაწილეებს მიესალმნენ უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი **ლ. ნუჟენეკო,** აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების გამგის მოადგილე **გ. აბილოვი,** სომხეთის პროფსაბჭოს მდივანი **ე. ტერლემეზიანი,** დაღესტნის ასსრ-ის სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი **ლ. ქერიმოვა.**

კრების მონაწილეებს მუსიკითა და ყვავილებით მიესალმნენ ნორჩი ოქტომბრელები. წკრიალა ლექსებით ისინი ადიდებენ თავიანთი დედების შრომას, მადლობას უძღვნიან კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას ბედნიერი ბავშვობისათვის.

კრებამ დიდი აღფრთოვანებით მიიღო მისასალმებელი წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ამხანაგ ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვისადმი.

ქალთა რესპუბლიკური აქტივის კრების მუშობაში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა **გ. გეგეშიძემ, მ. კუჭავამ, ა. სტუჩენკომ, გ. ძოწენიძემ, შ. ჯანუფაძემ, გ. ჩოგოვაძემ, რ. ფრუიძემ,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ვ. სირაძემ,** საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა **თ. ლაშქარაველმა.**

ქალთა რესპუბლიკური აქტივის კრების ანგარიში გამოქვეყნდება. (საქდესი).

ჯანკერ „ჰავანის" ფოლადის გული

ლენინგრადი, 31 მაისი. (სპეციალური კორესპონდენტი). მხოლოდ ნახევარი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც საადმირალოს ქარხანაში დაიწყო ტანკერ „ჰავანის" აგება. კუბის რევოლუციის ბელადის ფიდელ კასტროს საბჭოთა კავშირში ჩამოსვლის აღსანიშნავად ლენინგრადელებმა ვალდებულება იკისრეს დააჩქარონ გემის აგება და აი დღეს კიროვის ქარხანაში დამთავრდა ხომალდის ფოლადის გულის — მთავარი ტურბინისა და რედუქტორის გაკეთება. მექანიზმები გემთმშენებლებს დათქმულ ვადაზე გაცილებით უფრო ადრე ეგზავნებათ.

ტანკერ „ჰავანის" გულის შესაქმნელად კარგად იშრომეს ვ. ტხორევის, კ. მოისეევის, ა. უუკოვის, ა. კისელიოვისა და ბევრმა სხვა ბრიგადამ — ტურბინის საამქროს მთელმა კოლექტივმა.

საბჭოთა ჩქაროსნული ტანკერების ახალი სერიის ძრავებს, რომლებსაც ეკუთვნის „ჰავანა" აქვთ დისტანციური მართვის სისტემა. გემის სვლის სიჩქარის რეგულირება ავტომატურად იწარმოებს. კონსტრუქტორებმა გათვალისწინეს ტურბინის 10 პროცენტამდე გადატვირთვის შესაძლებლობა. მისი მაქსიმალური სიმძლავრე 20 ათას ცხენის ძალას გადააჭარბებს.

სსრ კავშირ-კუბის ხაზზე

რიგა, 30 მაისი. (საკდესის კორ.). რიგის ზღვის ნავსადგურს მოადგა საბჭოთა საოკეანო თბომავალი „იეტეპკი". გემი დაბრუნდა კუბიდან. გემის ტრიუმებში აოცა რვა ათას ტონაზე მეტი შაქრის ნედლეული, გემის ეკიპაჟმა ვადამდე ადრე დაამთავრა რეისი კუბის ნაპირებისაკენ და როგორი ჩამოტანა 300 ტონით მეტი ტვირთი, ვიდრე გემმით იყო გათვალისწინებული.

ამ დღეებში განსაკუთრებით ხალხმრავალია ტრანსოკეანური ხაზი, რომელიც აკავშირებს ლატვიის ნავსადგურებს რიგას, ვენტსპილსსა და ლეპაიას კუბის რესპუბლიკასთან. გუშინ რიგელებმა დაამთავრეს საბჭოთა თბომავალ „ოოპერაციის" დამუშავება. გემმა ჩამოიტანა ორი ათასი ტონა შაქარი. გადმოტვირთვის დამთავრების შემდეგ გავიდა ზღვაში თბომავალი „ჰაინრიხ ჰაინე", რომელიც ცურავს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ალმით. ეს გემი აგრეთვე მოვიდა თავისუფლების კუნძულიდან შაქრის ტვირთით.

როგორც საკდესის კორესპონდენტს აცნობეს ლატვიის სახელმწიფო საზღვაო ნაოსნობაში, რიგისა და ვენტსპილსის მისადგომებთან არიან კუბის შაქრით დატვირთული საბჭოთა და უცხოელთა გემები. მაისში თავისუფლების კუნძულისაკენ ლატვიის ნავსადგურებიდან გავიდა ათზე მეტი დიდი ტონაჟის საბჭოთა და უცხოელთის თბომავალი. მათ ტრიუმებში არის სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ავტომობილები, სამრეწველო მოწყობილობა, ქაღალდი და ცელულოზა.

გმირი კუბელი ხალხი იწონებს

ჰავანა, 31 მაისი. საკდესის კორესპონდენტი **მ. ბუზიესკი** იუწყება: გმირი კუბის ყოველი კუთხიდან მოდის დედაქალაქში ათასობით დეპეშა, რომლებშიც მუშები, სახალხო მამულების მშრომელები, მოსწავლეები მიესალმებიან და იწონებენ საბჭოთა კავშირ-კუბის ერთობლივ განცხადებას.

მომძე საბჭოთა ხალხი, აღნიშნულია შაქრის მრეწველობის მშრომელთა ერთობლივი პროფკავშირის დეპეშაში, კვლავ ადასტურებს, თუ რა გულწრფელი სოლიდარობით ეკიდება ჩვენს ხალხს: მან გადაწყვიტა გზაზდოს ჩვენში შესაფიდული შაქრის ფასები, რათა ეს ფასები შეესაბამებოდეს მსოფლიო ფასების დონეს. ეს საგრძნობი და ეფექტიანი დახმარებაა ჩვენი ეკონომიკის განვითარებისათვის.

— შეეხედეთ ფიდელ კასტროს დაბრუნებას ახალი შრომითი სიმტკიცით — ეს ლოზუნგი გახდა ახლა რესპუბლიკის ხალხის ძირითადი დევიზი.

სანტიაგოს გემთსაშენ „ხოაკინ დიას კომინჩის" კოლექტივი უპატაჟებს, რომ ვადაზე ადრე ჩაუშვა წყალში ორი თევზსაჭერი გემი. ეს ჩვენი საჩუქარია საბჭოთა კავშირში მოგზაურობიდან ფიდელის დაბრუნებისათვის, ამბობენ გემთმშენებლები.

ჰავანის რკინიგზის სახელოსნოების „ხოსე რამირეს კასამაიორის" მუშებმა 10 დღით ადრე დაამთავრეს ლოკომოტივის რემონტი და გადასცეს იგი საექსპლოატაციოდ.

აღფრთოვანებულნი იმით, რომ მოსკოვში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-კუბის განცხადებას, გაორკეცებული ენერგიით შრომობენ ამ დღეებში საფეიქრო და თამბაქოს საწარმოთა მუშები, მეტალურგები, მენავთობეები, ლერწმის პლანტაციებისა და ბრინჯის ყანების მშრომელები. მთელ კუბაში ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის.

გავშვთა მშვიდობისა და ბედნიერებისათვის!

მოსკოვი, 1 ივნისი. (საკდესი). ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა მოსკოვის საზოგადოებრიობის კრება, რომელიც დღეს გაიმართა კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში. კრების მონაწილეებმა — სხვადასხვა პროფესიისა და თაობის ქალებმა მხურვალედ ილაპარაკეს იმაზე, რაც აღელვებს ყველა ხალხს, — ბედნიერ, უზრუნველყოფილ ბავშვობაზე, ისეთ ბავშვობაზე, რომ არ იყოს ომები, გაჭირვება და შიმშილი. მოსკოვის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ე. ი. პოსოვეტოვამ, საათის ქარხნის ამწყობმა კ. პ. ბალაევამ, ექიმმა მ. ნ. შუროვამ, მასწავლებელმა ვ. ბ. გრიგორიევამ და სხვებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საბჭოთა ბავშვებს ყველაფერი აქვთ იმისათვის, რომ გაიზარდონ ჯანმრთელი, ძლიერი და განათლებული. საბჭოთა სახელმწიფო თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე დიდ ზრუნვას იჩენს ბავშვთა ჯანმრთელობისა და აღზრდისათვის.

კრება კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში

დედაქალაქის ახალგაზრდობისა და მოსწავლეთა სახელით გამოვიდა 775-ე სკოლის მოსწავლე ვიქტორ კლიმოვი. — ჩვენ ვცდილობთ ვიყოთ ღირსეული შვილები ჩვენი დედებისა, ჩვენი მამებისა, რომლებმაც თავიანთი შრომით, თავიანთი სიცოცხლით მოგვიპოვეს ბედნიერება, — განაცხადა მან.

— ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, ნათქვამია ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში, ჩვენ სოლიდარობას ვუცხადებთ ყველას, ვინც იბრძვის მსოფლიოს ხორცი თაობის ბედნიერებისათვის, მშვიდობისათვის. მთელ მსოფლიოში. ჩვენ მხურვალედ მივესალმებით ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის გადაწყვეტილებას, რომ მოსკოვში მოეწყოს ქალთა მსოფლიო კონგრესი, რომელიც განიხილავს მშვიდობისათვის, განიარაღებისათვის, ბავშვთა ბედნიერებისათვის ქალების ბრძოლასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მნიშვნელოვანი ინიციატივა

ლენინგრადი, (საკდესის კორ.). დაახლოებით 400 კომკური აშენ, 350 ექსკავატორი, 290 ბულდოზერი, 250 კომბაინი, ბევრი სხვა სამშენებლო მანქანა და მექანიზმი ყოველდღიურად მუშაობს მთავარლენინგრადშენის მოედნებზე.

როგორ დაიცვან და გამოიყენონ უკეთ მანქანების ეს უზარმაზარი პარკი? ამ საკითხმა ჩაიფიქრა მთავარლენინგრადშენის მუშები და სპეციალისტები.

შარშანდელი წლის დასასრულს საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა ტექნიკური ინსპექცია. სამი განთავისუფლებული მუშაკის გარდა, ამ ინსპექციაში შევიდა 60 ინსპექტორი — საზოგადოებრივი მუშაკი. ეს კოშკური ამწეებისა და ექსკავატორების წარჩინებული მემანქანეები, ბულდოზერების მძღოლები, ტექნიკოს-მექანიკოსები, სხვა სპეციალისტების წარმომადგენლები არიან.

ახალმა ინსპექციამ შემოიღო ყველა მანქანისა და მექანიზმის საგაზაფხულო წლიური ტექნიკური დათვალიერება. გარდა ამისა, პერიოდულად მშენებლობებსა და სამონტაჟო მოედნებზე მიდიან შტატგარეშე ინსპექტორები. ისინი ამოწმებენ ტექნიკის მდგომარეობას და მისი ექსპლოატაციის წესებს. თითოეულ მემანქანესა და მძღოლს აქვს იმ მანქანის, აგრეგატის მოწმობა და ტალონი, რომელიც მას აბარია. მექანიზმის ექსპლოატაციის ტექნიკური წესების უხეში დარღვევის შემთხვევაში ინსპექტორი ხვრეტს ტალონს ან სამუშაოდან გადააყენებს მემანქანეს. ამან დადებითი შედეგები მოიტანა.

ქალთა რესპუბლიკური აქტივის კრება

1 ივნისს გაიმართა ქალთა რესპუბლიკური აქტივის კრება. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ ფაბრიკების, ქარხნების, მშენებლობათა მოწინავე მუშები, საკოლმეურნეო მინდვრების, პლანტაციებისა და ფერმების მშრომელები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული მუშაკები. აქვე არიან სტუმრები, მომძე რესპუბლიკების — უკრაინის, აზერბაიჯანის, სომხეთის, დაღესტნის ქალთა წარმომადგენლები, რომლებსაც გულთბილად მიესალმნენ შეკრებილნი.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **დ. სტურუამ.**

უდიდესი აღმავლობით აირჩიეს კრების საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება ქალთა რესპუბლიკური აქტივის კრებისა და მისი სახით საბჭოთა საქართველოს ყველა ქალისადმი წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების გამგის პირველმა მოადგილემ **ამხ. ნ. ჩერქეზიშვილმა.**

მოხსენება — საბჭოთა საქართველოს ქალების მონაწილეობა სკკპ XXII ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა განხორციელებაში — გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ამხ. **ზ. კვაკაძემ.**

მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომპარტიის ხუთო რაიკომის იდეოლოგიური განყოფილების გამგის მოადგილემ **მ. ტარიელაძემ,** რესპუბლიკის სახალხო არტისტმა **მ. ჯაფარიძემ,** თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის გამომშრალმა **ლ. ტარანმა,** ლენინგორის რაიონის სოფელ ორჯონისნის კოლმეურნეობის მწყველმა **ნ. მელაძემ,** ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქტორმა **თ. აბაშმაძემ,** ქიმიის მეცნიერებათა დოქტორმა **ე. ნანობაშვილმა,** საქართველოს მხატვართა კავშირის აფხაზეთის განყოფილების თავმჯდომარემ **მ. ეშბამ,** მრავალშვილიანმა დედამ **დ. ჟურდიანმა,** პოეტმა **ი. ნონეშვილმა.**

აქტივის კრების მონაწილეებს მიესალმნენ უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი **ლ. ნუჟენეკო,** აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების გამგის მოადგილე **გ. აბილოვი,** სომხეთის პროფსაბჭოს მდივანი **ე. ტერლემეზიანი,** დაღესტნის ასსრ-ის სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი **ლ. ქერიმოვა.**

კრების მონაწილეებს მუსიკითა და ყვავილებით მიესალმნენ ნორჩი ოქტომბრელები. წკრიალა ლექსებით ისინი ადიდებენ თავიანთი დედების შრომას, მადლობას უძღვნიან კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას ბედნიერი ბავშვობისათვის.

კრებამ დიდი აღფრთოვანებით მიიღო მისასალმებელი წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ამხანაგ ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვისადმი.

ქალთა რესპუბლიკური აქტივის კრების მუშობაში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა **გ. გეგეშიძემ, მ. კუჭავამ, ა. სტუჩენკომ, გ. ძოწენიძემ, შ. ჯანუფაძემ, გ. ჩოგოვაძემ, რ. ფრუიძემ,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ვ. სირაძემ,** საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა **თ. ლაშქარაველმა.**

ქალთა რესპუბლიკური აქტივის კრების ანგარიში გამოქვეყნდება. (საქდესი).

მოვიწიოთ მეტი კარტოფილი!

ახალქალაქის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების სოციალისტური ვალდებულებანი კარტოფილის წარმოების გადიდებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის საქმეში 1963 წელს

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვამ მაღალხარისხოვანი კარტოფილით ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შესახებ ახალქალაქის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების დიდი შრომითი აღმავლობა გამოიწვია.

მოწინავე მეკარტოფილეთა თაობირის მონაწილეებმა, რომლებმაც განიხილეს თავიანთი შესაძლებლობანი. ახალქალაქის საწარმოო სამმართველოს სოფლის მშრომელთა სახელით ვალდებულება იკისრეს გაზარდონ კარტოფილის ნათესი ფართობი 3.200 ჰექტარამდე, რაც 440 ჰექტარით მეტია, ვიდრე მარშან, თითოეულ ჰექტარზე საშუალოდ მოიწონონ 120 ცენტნერი კარტოფილი 1962 წელს მოწეულ 96 ცენტნერთან შედარებით.

საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გადაწყვიტეს სახელმწიფოს მიჰყიდონ 8 ათასი ტონა კარტოფილი, ერთიორად მეტი, ვიდრე 1962 წელს; ამასთანავე კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები სახელმწიფოს მიჰყიდიან 4 ათას ტონა კარტოფილს.

კარტოფილის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს მოწინავე კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. ბურნაშევის, ბარალეთის, ხოკაბეგის, კარტიკამის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს კარტოფილის ჰექტარობრივი მოსავლიანობა გაზარდონ 200-250 ცენტნერამდე, ნაცვლად 120-150 ცენტნერისა, რაც გეგმით არის გათვალისწინებული და სახელმწიფოს მიჰყიდონ 150-200 ტონა კარტოფილი.

ხულგუმოს არტელის კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს 61 ჰექტარ ნათესში სუფალოდ ჰექტარზე 250 ცენტნერი კარტოფილი მოიწონონ. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 150 ცენტნერისა და სახელმწიფოს მიჰყიდონ 120 ტონა კარტოფილი.

გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს ბევრმა მოწინავე მეკარტოფილემ.

კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები მთელ ძალებსა და რეზერვებს იყენებენ იმისათვის, რომ დროულად და მაღალხარისხოვნად დათესონ და მოუარონ კარტოფილს. ფართოდ ვრცელდება უხვი მოსავლის ოსტატთა მუშაობის მეთოდები. ხორციელდება ღონისძიებანი კარტოფილის მოვლა-მოყვანის შემდგომი მექანიზაციის, მისი წარმოების თვითღირებულების შემცირებისათვის.

ახალქალაქის საწარმოო სამმართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელები აქტიურად ჩაებნენ კარტოფილის წარმოებაში და სახელმწიფოსათვის მიყიდვის შეჯიბრებაში, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ შესრულდეს მეხუთე დღედიის მეხუთე წლისათვის ნაკისრი ვალდებულებანი.

მოწინავე მეკარტოფილეთა თაობირის დასკვნებით — ახალქალაქის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი ა. ვერიჟენკო, სამმართველოს უფროსი ვ. დურბარიანი.

მოსკოვის მომავალი ფორუმი

31 მაისს თბილისში გაიმართა საბჭოთა ქალების საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის გაფართოებული პლენუმი. კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პროფესორმა ნ. ჯავახიშვილმა გააკეთა ინფორმაცია, თუ როგორ მიმდინარეობს მზადება ქალთა მსოფლიო კონგრესისათვის, რომელიც მიმდინარე წლის 24-29 ივნისს გაიმართება მოსკოვში.

საქართველოს ქალების საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის გაფართოებული პლენუმი

□

საქართველოს ქალები, ისე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელები, მხურვალედ მიესალმებიან ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის გადაწყვეტილებას კონგრესის ძოწვევის შესახებ. კონგრესი განიხილავს საკითხებს, რომლებიც ახლოა თვითეული ქალის გულთან. კონგრესის მოწყობა მოსკოვში დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს საბჭოთა ქალებს. საჭიროა ყველაფერი გაკეთდეს იმისათვის, რომ კონგრესის მუშაობა საუკეთესო პირობებში მიმდინარეობდეს, რომ მის მონაწილეებს დიდი შესაძლებლობანი მიეცეს გაეცნონ საბჭოთა ადამიანების მშვიდობიან შემოქმედებით შრომას, საბჭოთა ქალებისა და ბავშვების მდგომარეობას.

საბჭოთა ქალები გამოთქვამენ რწმენას, რომ მომავალი ფორუმი ხელს შეუწყობს ქალთა კიდევ უფრო მტკიცე შეკავშირებას ბრძოლაში მათი ადამიანური უფლებებისათვის, ბავშვების ბედნიერებისათვის, მშვიდობისათვის.

პლენუმის მონაწილეებმა განიხილეს საბჭოთა ქალების საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის ახალი შემადგენლობის საკითხი. კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულია ნ. ჯავახიშვილი, მოადგილედ — ეურნალ „საქართველოს ქალის" რედაქტორი თ. აბაშმაძე, მდივნად — საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების უფროსი რეფერენტი ი. დოლიძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. სირაძემ და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. კვაკაძემ. (საქდესი).

ტუნისელი ხალხის დღესასწაული

ტუნისი, 31 მაისი. (საკდესი). ხვალ ტუნისელი ხალხის ეროვნული დღესასწაულია — ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამარჯვების დღე. ამავე დროს აღინიშნება კონსტიტუციის მეოთხე წლისთავი, რომელიც გამოცხადა პრეზიდენტმა ბურგიბამ 1959 წლის 1 ივნისს.

ფრანგმა კოლონიზატორებმა ახალგაზრდა ტუნისის სახელმწიფოს ბევრი ეკონომიური და სოციალური ხასიათის პრობლემა დაუტოვეს. უკვე შვიდი წელია, რაც ტუნისმა მოიპოვა დამოუკიდებლობა და მთავრობა ყოველგვარ ღონეს ხმარობს ამ პრობლემათა გადასაჭრელად. უკვე შემუშავებულია ტუნისის ეკონომიური განვითარების ათწლიანი გეგმა, წარმატებით ხორციელდება მისი პირველი სტადია — განვითარების სამწლიანი გეგმა, რომელიც ძალაში შევიდა 1962 წლის იანვარში. მთლიანი პროდუქცია 1961 წელთან შედარებით, 12 პროცენტით გადიდდა 1962 წელს. ტუნისის მთავრობა ახლა ცდილობს ლონისძიებებს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, ადგილობრივი ბაგებობათა სისტემას და ა. შ. განათლების განვითარების ათწლიანი გეგმით გათვალისწინებულია გადაიკრას ტუნისის სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა — შეიქმნას საკუთარი ეროვნული კადრები.

ტელეგრაფი გვატყობინებს

□ **მნიშვნელოვნად** გადიდდა ბაჟი ამერიკის შეერთებული შტატებიდან „საერთო ბაზრის" ქვეყნებში ფრანგული ექსპორტზე. ეს გადაწყვეტილება მიიღო ევროპის ეკონომიური გაერთიანების მინისტრების საბჭომ.

□ **ეკვადორის** საპატრულო გემმა დაიკავა ამერიკის თევზსაჭერი გემები და ხალინასის სამხედროსაზღვაო ბაზაში (გვაიაკილის მახლობლად) მიიყვანა. ამერიკის გემები უკანონოდ იჭერდნენ თევზს ეკვადორის ტერიტორიულ წყლებში.

□ **პოლიციამ** ცრემლსადენი გაზიანი გრანატები გამოიყენა ადენში დემონსტრაციის დაშლის მიზნით. დაპატიმრებულია 48 კაცი. დემონსტრანტები გაიძახოდნენ ლოზუნგებს, რომლებიც სამხრეთ არაბეთის სამთავროების იმამებთან შეერთებისათვის მოუწოდებდნენ.

□ **მარტინიკაში** ნამდვილი რბევის აბამოსფერო სუფევს, ნათქვამია მარტინიკის დამოუკიდებელი პროგრესული პარტიის. გაერთიანებული სოციალისტური და კომუნისტური პარტიის, მარტინიკის ქალთა კავშირის. მარტინიკის სტუდენტთა საყოველთაო ასოციაციის განცხადებაში.

აბსურდული მოსაზრებანი

ჟენევა, 31 მაისი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ს. კ. ცარაპკინმა, რომელიც გამოვიდა 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის დღევანდელ პლენარულ სხდომაზე, ხაზგასმით აღნიშნა, რომ 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის ძირითადი ამოცანაა შეიმუშაოს ხელშეკრულება საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ — მთავარი საშუალება მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისა თანამედროვე პირობებში.

საბჭოთა მთავრობას, აღნიშნა ცარაპკინმა, არაერთხელ აღუნიშნავს, რომ საჭიროა მიაღწიონ შეთანხმებას მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელების შესახებ, რომლებიც ხელს შეუწყობენ საერთაშორისო დაძაბ

გმირობისა და მეგობრობის ოპერა

ა. ტიგრანიანის „დავით-ბეგი“ თბილისის სცენაზე

ურყევი და მრავალსაუკუნოვანია ქართველ და სომეხ ხალხთა ძმური მეგობრობა. რამდენი რამ არის საერთო ამ ორი ქრისტიანელი ერის ისტორიულ წარსულში: ძლევამოსილი მამამდიანი სახელმწიფოების (უმთავრესად თურქეთისა და ირანის) გარემოცვაში, განუწყვეტელი თავდასხმებისა და გამანადგურებელი ბრძოლების მიუხედავად, სომხეთი და საქართველო უმკლავდებიან საერთო მტერს, ინარჩუნებენ თავიანთ ეროვნულ მეობას, ენას, ეროვნულ კულტურას. კიდევ უფრო მტკიცე და მრავალმხრივი იყო საქართველო-სომხეთის ეკონომიური და კულტურული ურთიერთდამოკიდებულება მშვიდობიანობის წლებში. მაგრამ ოდესღაც ძლევამოსილი, მრავალმილიონიანი სახელმწიფოები — საქართველო და სომხეთი — საერთო მტრების წინააღმდეგ გამანადგურებელი, სისხლისმღვრელი ომებისა და საკუთარ ფეოდალთა შინა განხეთქილებების შედეგად დასუსტდნენ, პოლიტიკურად დაუძლურდნენ და ხსნა დიდი რუსეთის მფარველობაში ჰპოვეს.

დიდი ისტორიული გზის მანძილზე ამ ორმა ერმა საუკუნეთა მანძილზე შეიმუშავა და დღემდე მოიტანა მტრავალე პატრიოტიზმი, უსაზღვრო ოპტიმიზმი, მეგობრობა, უხვი სტუმარ-მასპინძლობა, შრომისმოყვარეობა, ცხოვრებისეული სიბრძნე, გონების გამჭრიახობა.

ამიტომაც შემთხვევითი როდია გამოჩენილი ქართველი და სომეხი მწერლებისა და პოეტების მიმართვა მშობლიურ ხალხთა ისტორიული წარსულისადმი. სომხურ ლიტერატურაში ისტორიული რომანის ჟანრში თავი ისახელეს მურაცანმა და რაფიმ. მურაცანს (გრიგორ ტერ-იოვანისიანი, 1854-1908) დაწერილი აქვს შესანიშნავი რომანი „გეგორქ მარზპეტუნი“, ხოლო რაფი (აკოფ მელიქ-აკოფიანი, 1835-88) ავტორია საკვეყნოდ ცნობილი ისტორიული რომანებისა, რომელთა შორის უტყუარი მაღალმხატვრული ღირსებებით გამოირჩევიან „სამველი“ და „დავით-ბეგი“. უკანასკნელი საფუძვლად დაედო არმენ ტიგრანიანის გმირულ-ისტორიულ ოპერას „დავით-ბეგს“.

არმენ ტიგრანიანის (1879-1950) სახელი მშვიდობიან ურთიერთობებში თავის ლირიკულ ოპერასთან — „ანუშთან“. ამ ნაწარმოებში კომპოზიტორმა გადაგვიშალა რეგოლუციამდელი სომეხი გლეხობის ყოფაცხოვრებითი სურათები, მისი სევდა და სიხარული, ადათ-წესები. დიდი სომეხი პოეტის ოვანეს თუმანიანის თანამოსახელე პოემის გმირებმა ამ ოპერაში შესატყვისი მხატვრულ-მუსიკალური გამოსატულება ჰპოვეს. ოპერა „ანუში“ მსმენელის ყურადღებას და ესთეტიკურ სიამოვნებას იწვევს ხალასი ხალხური მელოდიურობით, გამოთქმის მომხიბვლელი უშუალობით. გულწრფელი, ზოგჯერ მიამიტი, მინდვრის ყვავილივით ნაზი და ფაქიზია „ანუშის“ მუსიკალური მეტყველება.

სულ სხვა სტილით არის დაწერილი „დავით-ბეგი“, რომელიც ორჯერ იქნა ხელახლა რედაქტირებული. საბოლოო (1956 წლის) რედაქცია ეკუთვნის ცნობილ დირიჟორს მ. თავრიზიანს, კომპოზიტორს ვაჟს — ვ. ტიგრანიანს და კომპოზიტორ ბ. საკილარის. აღსანიშნავია აგრეთვე დიდი მუშაობა, გაწეული გ. ბუდაგიანის, ლ. ხოჯა-ეინატოვისა (ოპერის ორკესტრობა) და დრამატურგ ტერ-ოვანესიანის მიერ (ლიბრეტოს ახალი ვარიანტი).

ოპერა „დავით-ბეგის“ მოქმედება წარმოუს XVIII საუკუნეში. ირანელი დამპყრობლების მიერ აოხრებულია სომხეთი. სამშობლოს დასაცავად სომეხი ხალხი შოთიხოვს სტქართველოს მეფის ვახტანგ VI-ის საყვარელ მხედართმთავარს დავით-ბეგს (თავადი მელიქ-ფარსადანიანი) იგი ეთხოვება თავის საცოლეს თამარს და აკანყებულთა მეთაურთან თავად სტეფანოზ შუშანიანთან ერთად სომხეთს მიაშურებს. დავით-ბეგი სათავეში ჩაუდგება გამათავისუფლებელ ბრძოლას. თამეკის ციხის წინ, მოედანზე, თავმოყრილია ხალხი, ჯარი, მოხალისენი. წანთური — გულადმობი განლაშღული გლეხი, მებრძოლი და ამბული — ამხნევებს შეკრებილთ. შემდის დავით-ბეგი, რომელსაც მიართმევენ ეროვნული გმირის — ვარდან მამიკონიანის — ხმალს. მკაცრად ისჯება სამშობლოს მოღალატე მელიქი, რომელმაც ხანის გულის მოსაგებად მას თავისი ქალიშვილი შუშანი (შაუმიანის სატრფო) მიუყვანა მხეგლად. რუსეთის ეფის — პეტრე დიდის — დესპანთა გამოჩენა აღაფრთოვანებს ხალხს. მებრძოლთ. დავით-ბეგის დაკალეთით შუშანი, განთავისუფლებული საჭურისის ახმედის (ტომით სომეხის) მიერ, ცეცხლს წაუკიდებს ხანის სასახლეს ნიუდგომელ ზვიუს ციხეში. ეს არის ნიშანი შეტევის დაწყებისა. იწყება ციხის იერიში. სომეხთა ჯარი ზეიმობს მტერზე გამარჯვებას. ხალხი ადიდებს მტრისაგან განთავისუფლებულ სამშობლოს და მის ერთგულ შვილებს.

ოპერის ძირითადი იდეა — შეურიგებელი ბრძოლა სამშობლოს დამპყრობთა წინააღმდეგ მტერზე სრულ გამარჯვებამდე — განსაირობებს მუსიკალური დრამატურგიის განვითარების ხაზს. გმირულ სახეებთან ერთად (დავით-ბეგი, სტეფანოზ შუშანიანი, სანთური) დიდი ადგილი აქვს დათმობილი ქალთა პერსონაჟებს (ვახტანგ VI-ს და თამარი, შუშანი), რაც ხელს უწყობს მეორე — ლირიკული თემის — განვითარებას. ყოველი მოქმედი პირი კომპოზიტორის მიერ ერთმანეთისაგან განსხვავებული მუსიკალურ-გამომსახველობითი საშუალებებით არის დახასიათებული.

საინტერესოა, რომ დავით-ბეგის მუსიკალური სახე მჭიდროდ არის დაკავშირებული ხალხურ ინტონაციებთან. რაც მეტად ნიშანდობლივია; ამას გარდა „დავით-ბეგის“ დასახასიათებლად ა. ტიგრანიანი მიმართავს გმირულ, ფანფარულ მელოდიკურ ბრუნვებს და ჩასაბერ ინსტრუმენტთა მედგარ ხმოვანებას ორკესტრში. თითქმის ასეთივე ხერხებით არის გადმოცემული მეორე გმირის — შაუმიანის სახეც. მაგრამ

ერთიც და მეორეც დიდ სულიერ სიფაქიზეს იჩენს სატრფოსთან სცენებში, რაც ამდიდრებს და ამრავალფეროვნებს სახალხო გმირთა სახეებს.

განსაკუთრებით სრულყოფილად გვევლინება დავით-ბეგის, ამ გულადი ვაჟკაცის, გონიერი და გაბედული მხედართმთავრის და მგზნებარე პატრიოტის მხატვრული სახე. ამის მაგალითია გმირის აღგზნებული მიმართვა გაჭირვებაში მყოფი სამშობლოსადმი („ო, იმ ჩკნახ ჰაირენიკ“ — „ო, ჩემო საყვარელო სამშობლო“, II მოქმედება), უდიდესი ექსპრესიით შესრულებული (ისე როგორც მთელი ეს რთული სოლო) ნიჭიერი მომღერლის ნარ ოვანესიანის მიერ. მან ჯერ კიდევ თბილისის კონსერვატორიაში სწავლის წლებში მიიპყრო საყოველთაო ყურადღება თავისი ძლიერი, ხავერდოვანი ხმით (ბანი). სასიხარულოა, რომ მომღერლის მთელი შემდგომი გზა აღნიშნულია ვოკალური ოსტატობის განუხრელი ზრდით და პროფესიული მოწიფულობის გაღრმავებით. ნარ ოვანესიანმა შექმნა სრულყოფილი, დაუვიწყარი სახე დავით-ბეგისა, რომელმაც მტკიცე ადგილი დაიმკვიდრა სოფლურ ერეკლულ საოპერო გმირთა გალერეაში. მამაკაცთა როლებიდან მისი ღირსეული პარტნიორები არიან მხურვალე არტისტული ტემპერამენტის, ძლიერი და გამომსახველი დრამატული ტენორის მქონე ა. პერჩიანი (ს. შაუმიანი) და აშეფღარი სითბოთი გამორჩეული ნიჭიერი მომღერალი ა. პეტროსიანი (სანთური), რომელიც ოსტატურად იყენებს თავის მოკნილ ხმას როგორც სეედის, ხალხის მწუხარების, ისე გმირული აღტყინების გადმოსაცემად.

თამარის როლის შემსრულებელ: თ ა თ ე ვ ი კ ა ს ა ზ ა ნ დ ა რ ი ა ნ მ ა სამართლიანად დაიმსახურა ერთ-ერთი საუკეთესო საოპერო მომღერლის სახელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. მეტად გამომსახეული, მოკნილი, მძლავრი ემოციურობით გამორჩეული ხმა ორგანულად არის შერწყმული ამ ნიჭიერი მომღერლის ძალის დასრულებულ სამსახიობო ოსტატობასთან. ამის დამამტკიცებელია თუნდაც ჩინებულად ჩატარებული სცენა დავით-ბეგთან გამოთხოვების შემდეგ (II მოქმედების ფინალი), როდესაც თ. საზანდარიანი, ხმის ამოუღებლად, მარტო თავისი სცენური მოქმედებით, დამაჯერებლად გადმოსცემს ქართველი ქალის სულიერ განცდათა მთელ გამას, ფსიქოლოგიურად რთულ ნიუანსებს, მის დიდ სულიერ მღელვარებას, გამოწვეულს სატრფოს, სამშობლოს ბედიღბლით, სახელოვან გმირთან დაშორებით.

ნამდვილად უშუალობით, გულწრფელობით და ქალური მომხიბვლელობით გამოირჩევა მხურვალე პატრიოტი ქალის შუშანის ვოკალურ-სცენური სახე ა. თუთუნჯიანის შესრულებით. თანაბრად, ემოციურად ჟღერს მისი სუფთა ხმა (სოპრანო) ყველა რეგისტრში, ყოველგვარ

სცენურ მდგომარეობაში, შაუმიანთან შეხვედრები იქნება ეს, ირანელებთან ტყვეობის დროს თუ ფინალურ სცენაში, როდესაც სომეხ ხალხთან ერთად შუშანი ზეიმობს სამშობლოს გამარჯვებას და პირად ბედნიერებას.

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე მელიქის როლის შემსრულებელი დ. პოღოსიანი. იმდენად დამაჯერებელია მის მიერ შექმნილი საზიზღარი მოღალატის, მტერთან მლიქვნელის და თავისიანების მიმართ დაუნდობელი მტრის სახე. რომ მაყურებელი კმაყოფილებას გრძნობს ამ ცბიერი ადამიანის მკაცრი დასჯის სცენით (მელიქს ხრამში გადაისვრიან). დასაარჩენი შემსრულებელნი — ვ. შორიოხოვი (ხანი), ვ. გრიგორიანი (ვახტანგ VI). ვ. კირაკოსიანი (მამასახლისი), მ. დავთიანი (ახმედი), ა. კარაჯიანი (პეტრე დიდის დესპანი), რ. საბურიანი (მოხუცი) და ახვანი ყოველმხრივ უწყობენ ხელს სპექტაკლის მაღალ დონეზე წარმართვას.

ოპერა „დავით-ბეგის“ მუსიკალური ენის სირთულე იმით განისაზღვრება, რომ, თუ „ანუშში“ ა. ტიგრანიანმა ზუსტად დაიცვა ერთიანი ეროვნულ-ხალხური კოლორიტი, აქ, ამ დიდი ფორმის ნაწარმოებში, კომპოზიტორი, შინაარსის მიხედვით ვალდებული იყო მოეცა აგრეთვე ქართული, რუსული და ირანული მუსიკის დამახასიათებელი ჟღერადობა. ეს სირთულე იმით არის ნაწილობრივ დაძლეული, რომ კომპოზიტორმა მიმართა სტილიზაციის ხერხს, თავიდან აიცილა მოსალოდნელი ეკლექტიზმი და ამით ზოგადად მაინც გადმოსცა სამი სხვადასხვა ეროვნული ხასიათის მქონე მუსიკალური სცენები. მათ შორის უდიდესი ადგილი განკუთვნილი აქვს „ქართულ სცენას“ (II მოქმედება). თამარის ერთ-ერთი არია აგებულია ძველ ხალხურ სიმღერაზე „მზე შინა“, ასევე ცეკვა „ქართულში“ იგრძნობა ცალკეული მიმოქცევანი ა. ყარაშელის „სამშობლოდან“.

„დავით-ბეგის“ უდავო ღირსებას, საანსამბლო სცენებთან ერთად, უნდა მივაკუთვნოთ გუნდები, რომელთა სიჭარბე საესებით გამართლებულია ამ ნაწარმოებში ხალხის, მასის აქტიური როლით სიუჟეტი განვითარებაში. უდაოდ მოსაწონია გუნდის ხმოვანების გამართულობა, ნიუანსების მრავალფეროვნება, რაშიც უეჭველი

დამსახურება კ. კარაპეტიანს მიუძღვის.

დიდი მუშაობა აქვთ გაწეული ოპერის დამდგმელ-რეჟისორებს ვ. აკოფიანს და გ. მელქუმიანს. მრავალრიცხოვან სამეშრულებლო მასას, სტატისტებს, სცენების ხშირ ცვლას (ოპერაში 8 სურათია) ღრმად გააზრება, ლოგიკურად ერთმანეთთან დაკავშირება. ყოველი სცენის თავისებურად გაგება ესაჭიროება, რაც ჩინებულად არის განხორციელებული ამ სცენის ოსტატების მიერ. სანაქებოდ არის წარმოდგენილი გამორჩენილი საბჭოთა მხატვრის ვ. სარიანის, მხატვრების — ხ. ესაიანისა და ა. მირზოიანის დეკორაციები და კოსტიუმები. კარგი გემოვნებით არის დადგმული ცეკვები ბალეტმეისტერ ზ. მურადიანის მიერ. ბ. თავრიზიანის მიერ თავის დროზე მტკიცედ შეკრული სპექტაკლი ახალგაზრდული ენერგიით, მუსიკალურად მიჰყავს დირიჟორ ი. დავთიანს. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის, რასაც ჩვენ კარგა ხანია მოწყურებული ვართ: ორკესტრის მეტად რბილი, „თავაზიანი“ ჟღერადობა სოლისტების თანხლების დროს, რაც კი არ ღლის მაყურებლის ყურთასმენას, არამედ მთლიანად აგრძნობინებს მას პატარა ხმის მქონე მომღერლის გამოსელასაც კი. სამაგიეროდ იქ, სადაც ორკესტრი დამოუკიდებელია, მისი ხმოვანება დიდ სიძლიერეს აღწევს.

„დავით ბეგის“ დადგმით დაიწყო ერევნის ა. სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გასტროლები თბილისში. არ შეიძლება არ მივესალმოთ თეატრის არჩევანს — ამ ოპერით გასტროლების დაწყებას, რადგან, გარდა ნაწარმოებში მოცემული მხატვრული ღირსებებისა, მისი იდეა: სამშობლოს მტრისაგან დაცვა და ხალხთა შორის ძმური მეგობრობის სიდიადე პირდაპირ უასუხებს დღევანდელი დღის პოლიტიკურ და მაღალ ეთიკურ მოთხოვნილებებს.

პირველი სპექტაკლი დიდი კმაყოფილებით და გულწრფელი მადლობის გრძნობით იქნა მიღებული თბილისის მრავალრიცხოვანი საზოგადოების მიერ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ძვირფასი მეგობრების შემდგომი გამოსვლები თბილისის სცენაზე კიდევ უფრო განამტკიცებენ ჩვენს შეხედულებას მათს მაღალ საშემსრულებლო ხელოვნებაზე. ხოლო, ერთდროულად, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საგასტროლო სპექტაკლები ერევანში ხელს შეუწყობს სომეხ და ქართველ ხალხთა საუკუნეების მანძილზე გამობრძმედილი ძმობისა და მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

პავლე ხუციშვილი.

* * *

სურათზე: სცენა სპექტაკლ „დავით-ბეგიდან“. თამარი — სსრ კავშირის სახალხო არტისტი თ. საზანდარიანი, დავით-ბეგი — სომხეთის სსრ სახალხო არტისტი ნ. ოვანესიანი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ქართველ მსახიობთა დიდი წარმატება

ერევანი. (ჩვენი სპეც. კორ.). სომხეთის ყველა რესპუბლიკური გაზეთი— „სოვეტაკან მაიასტანი“, „კომუნისტი“, „ავანგარდი“, „კომსომოლეცი“ და სხვები ფართოდ ამუქებენ თბილისის საპერო თეატრის გასტროლებს ერევანში. ჯერ კიდევ 30 მაისს გასტროლების დაწყების პირველ ღამეს „სოვეტაკან მაიასტანმა“ ამ საკითხს მიუძღვნა მთელი მესამე გვერდი, რომლის საერთო სათაურად აღებული იყო ოვანეს თუმანიანის სიტყვები „ძმური სიყვარული და სომდერები“.

„ავეკი ორი მისალმება ქართულ ენაზე „ კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“ და „თანამოძმენო, სალამი თქვენდა!“. გვერდში დაბეჭდილია ვერა ნოგანიძის, ვახტანგ ჭაბუკიანის პეტრე ამირანაშვილის და ოდისეი დიმიტრიადის წერილები და პორტრეტები, აგრეთვე კომპოზიტორ ე. ოსანესიანის, აზერბაიჯანელი მომღერლის, სსრკ სახალხო არტისტის რაშიდ ბეიბუთოვის, სომხეთის სახალხო არტისტის მ. ხერსესიანის, სომხეთის კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარის ე. მირზოიანის და სხვათა წერილები.

რუსული გაზეთი „კომუნისტი“ გასტროლების დაწყებას მიწერილ „ეს ... ...

საბჭოთა საქართველოში

ჩვენი მკითხველებისა და კორესპონდენტების მავანყოველნი

მეგობროგის მატარებელი

ბათუმი. (საკ. კორ.). 400-ზე მეტი მუშა და მოსამსახურე მოგზაურობს მეგობრობის მატარებლით. ესენი არიან მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის, ჩელიაბინსკის, ზაპოროჟიესა და უდმურტეთის ასსრ სამრეწველო საწარმოთა მუშაკები. ტურისტებმა უკვე ინახულეს როსტოვი, მახაჩკალა, კისლოვოდსკი, ბაქო, თბილისი. დათვალიერეს ღირსშესანიშნაობები, გაეცნენ ისტორიულ ადგილებს.

ტურისტებმა ბათუმში ორი დღე დაყვეს. დათვალიერეს ქალაქი, ზღვისპირა პარკი, მოაწყეს ექსკურსია ბოტანიკურ ბაღში, ციხისძირსა და ქობულეთში.

სახალხო რაზმელთა შეკრება

რუსთავი. (საკ. კორ.). თავიანთი ქალაქის კომუნისტური შრომისა და მაღალი კულტურის ქალაქად გადაქცევისათვის რუსთაველ მშრომელთა ბრძოლაში გარკვეული წვლილი შეაქვთ სახალხო რაზმელებს.

ამ დღეებში მეტალურგთა კულტურის სასახლეში გაიმართა სახალხო რაზმელების პირველი საქალაქო შეკრება. შეკრებამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. მენთეშაშვილი, მიიღო მომართვა ქალაქის მშრომელებისადმი.

„ყინულის დათვის“ უკანასკნელი ნაბიჯები

დუშანბე, 1 ივნისი. (საკ.ინ.). ტაჯიკი სპეციალისტების აზრით ყინულის „დათვის“ მოძრაობა პამირზე კიდევ 10-15 დღე გასტანს.

...მხარეს თვალწინ ეშლება ფანტასტიკურად დიდებული სურათი: ქედების შეუღ წახნაგებს შორის ბუმბერაზი ვეშაპივით გაწოლილა ურიცხვი ნაპრალებითა და ბორკით დაღარული მყინვარი. კაცს ეგონება, საკმარისია დაბუკოთვალი და სმენის მოსწვდება „ყინულის დათვის“ საშინელი ღრიალი — დალეწილი ლოდების ბრუხუნი და ჯახაჯუხი...

დიდ გაოცებას იწვევს მყინვარის სხეულის მასის კოლოსალური გადიდება. წინასწარი გამოთვლითაც კი განვლილი თვის მანძილზე „დათვმა“ 250 მილიონი ტონა „შეიმატა“! ცხადია, ყინულის ასეთი მასა ვეღარ დაკავდებოდა პირვანდელ საზღვრებში და უმაგალითო სიჩქარით დაძრა ხევ-ხევ, რომლის ფსკერზე, ჯერ კიდევ ძველი მყინვარების მოქმედებით მიღო ზუსტად ვარცლისებრი ფორმა. დღეისათვის „დათვის“ მყინვარმა უკვე გაიარა 2000 მეტრზე მეტი. მისი სიჩქარე დღე-ღამეში განუწყვეტლივ 50 მეტრია.

თუ აეროფოტოსურათების მიხედვით ვიმსჯელებთ მყინვარის მოძრავ ნაწილს ყინული ემატება სათავიდან, სადაც აღმოჩნდა გიგანტური 600 მეტრიანი ყინულვარდნილი.

მეცნიერებს პირველად მიეცათ შესაძლებლობა განესაზღვრათ ვანჩის გვერდით შენაკადზე, მდინარე აბდუკაგორზე, ახლადგაჩენილი ტბის სიდიდე და კონტურები. ეს არის ყინულისა და ქვის თავისებური აბაზანა, მისი სიღრმე 80 მეტრზე მეტია, სიგანე 300 მეტრი და სიგრძე ერთ კილომეტრს აღემატება. ტბის მოცულობა უახლოვდება 15 მილიონ კუბურ მეტრს. ყოველ წამში „აბაზანას“ ემატება კიდევ 6 კუბური მეტრი წყალი.

საკუთარის კორესპონდენტის შეკითხვაზე, ხომ არ არის იმის საშიშროება, რომ ტბიდან უეცრად გადმოხეთქოს წყალმაო. იური უსკოვა და მისმა ამხანაგებმა გადაჭრით უარყეს ყოველგვარი მტკიცებანი, თითქოს შესაძლებელი იყოს წყალდიდობა ვანჩის ხეობაში, რადგან მეტად დიდია მყინვარი, რომელმაც ტბა შეაკუბა და შეუძლებელია მოკლე ხანში გადნეს. ან ჩამოირეცხოსო. „დათვის“ მყინვარის შესწავლა გრძელდება.

ყვავილების დღეობაზე

ყვავილებით შემობრწყინდა
მზის ქალაქში ივნისი.
ვარდ-ყაყაჩოს აელვარებს
ახლა მთელი თბილისი.

რუსთაველზე გაახილა
თვალი ლურჯმა ზამბახმა,
ჩიტმა ჩიტის ია ნახა,
— კარგიაო! — გასძახა.

აქ სპეტაკი შროშანების
თეთრი გუნდი შემდგარა.
იქ ღიმილით ჩახჩახებენ
გვირილა და მედგარა.

ტბის ლოტოსებს მოპყოლია
დიდბანი მეგზურად,
ნარგიზებთან ფოფინობს და
ინაზება დეზურა.

საზეიმოდ ჩამოსულა
ლამაზების ლაშქარი,
ყანის პირას მოკიაფე
ყაყაჩურაც აქ არი.

მიხაკს ლხენით ეხვევიან
ონტოფა და იფნურა.
თბილისური დილის ცვარი
ცისთვალამაც იკურა.

ციმციმებენ, ჩურჩულებენ
ეუეუნა და შავთარა.
ტიტას ტკბილი მეგობარი
ყოჩივარდა გამხდარა.

იის ერთი გადაკოცნა
დეკას თავს ურჩევნია,
დღეს პატარა ფათალოშიც
სუნთქავს ვაეას გენია.

მზეს უცინის ასფურცელა,
სხივზე ბზინავს ამბზინდა.
საქართველოს სიყვარული
გულმა ცამდე ამიდა.

ვარლამ ჟურული.

ყვავილებისა და ღიმილის დღე

ვარდები ქალაქის ღიმილია. ამ ზაფხულს დედა თბილისში ვარდმრავლობაა და ღიმილთმრავლობაა. დღეს პოეტს მართლა შეუძლია თქვას: „თბილისო, მზის და ვარდების მხარეო“. დღეს ქალაქში ყვავილების დღესასწაულია, ვარდების დღეა.

ვარდებმა „დაიპყრეს“ თბილისი. რუსთაველის პროსპექტი ვარდების ზღვაში ცურავს, მაღაზიის ვიტრინები და სკვერები, კაფეები და თეატრების ფასადები ათასფერად მოუქარგავთ ყვავილებსა და ვარდებს...

ლენინის მოედანზე ერთმანეთს გადაჰდობილან გაზაფხულის ყვავილები და ქართული ვაზი...

ქალაქი ჰგავს უზარმაზარ გირლანდების შეკვრას, რომელსაც ამშვენებს გაზაფხულის ყველა საღებავი, გაზაფხულის სურნელება ასდის დედა თბილისის ქუჩებსა და მოედნებს...

ყვავილების დღისათვის თბილისს შეემატა რვა ახალი პატარა სკვერი. — მათ თითქოს „ვარდების მინდიას“ — მიხეილ მამულაშვილის უხილავი ხელი ქმნიდა. ქაშუეთის უძველეს კედლებთან თუ მტკვრის სანაპიროზე, სასტუმრო „საქართველოს“ გვერდით თუ პლეხანოვის პროსპექტსა და ჩელუსკინელების ქუჩის გადაჭრაზე, ოპერის ბაღში თუ ჯაფარიძის ქუჩაზე, სომხური დრამის თეატრთან თუ ლესელიძის მაგისტრალზე შრიალებენ ფაქიზი გემოვნებით გაფორმებული სკვერები, რომლებიც ქართული სოფლის თვალწარმტაც სანახებს გვაგონებენ მინიატიურაში. ეს სკვერები გააშენეს დედაქალაქის შვიდივე რაიონის რაიალმასკომების გამწვანების განყოფილებებმა და დედაქალაქის მწვანე მეურნეობის ტრესტმა, უთვალავმა ენთუზიასტმა. თბილისელ ვარდის მოყვარულებს სახლში საკუთარი მინიატიურული „ბოტანიკური ბაღი“ აქვთ. ბარაქალა მათს მარჯვენას, იმრავლოს დედაქალაქში და საქართველოს სოფელსა და ქალაქში ვარდ-ყვავილებმა.

ათასი ქალწულის ღიმილის ეშხი იღვრება ქალაქში. ვარდების ნამქერებმა წალეკეს მთაწმინდა და ვარაზი, ვაკე და ნარიყალა, ქაშუეთი და სოფი...

ვარდი ადნება ღაწვზე მზეთუნახავ თბილისს.

თითქოს ვარდობისთვე დაბრუნებულა დედაქალაქში.

ზეიმია თბილისში — ვარდისა და ვაზის დედაქალაქში.

შექსპირმა ვარდები ხელოვნების შედევრებს შეადარა. ეს რომ სავსებით სამართლიანია, ერთხელ კიდევ დაამტკიცებს თბილისელმა ვარდებისა და ყვავილების მოყვარულებმა. საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერიაში ფუნჯის ოსტატებმა დეკორატორ-მეყვავილეთა ნამუშევრებს დაუთმეს ადგილი.

— დედაქალაქის ლენინის, პირველი მაისის, ოქტომბრის, კალინინის, ორჯონიკიძის, კროვის, 26 კომისრების სახელობის რაიონებს, თბილისის მწვანე მეურნეობის ტრესტს „ყვავილთა ვაჭრობას“, ბოტანიკურ ბაღს, ასობით ყვავილების მოყვარულს სურათების გალერიაში აქვთ სტენდები, რომლებიც ორიგინალურად და ფაქიზად არის გაფორმებული, — გვეუბნება თბილისის მთავარი აგრონომ-დეკორატორი ნელი ციციშვილი, — გალერიაში ეწყობა მეყვავილეთა კონკურსი. გამარჯვებულებს გადაეცემა დიპლომები. კონკურსის მიზანია წაახალისოს ვარდ-ყვავილთა მოშენების ენთუზიასტები, რომ უფრო ლამაზი და მიმზიდველი იყოს ჩვენი დედაქალაქი.

გალერიაში გამოფენილია დედაქალაქის საწარმოთა მიერ დამზადებული კერამიკული ნაწარმი. კერამიკული ნაწარმის ნიმუშები წარადგინეს გალერიაში საშენ მასალათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საცდელმა ქარხანამ, კერამიკული საწარმოს კომბინატმა და სხვა საწარმოებმა.

დღეს თბილისში ყვავილების დიდი კარნავალია, დღეს ეწყობა სახალხო სეირნობანი თბილისის პარკებში, ბაღებში, ხეივნებში, მოედნებსა და ქუჩებში.

დღეს, გაზაფხულის, სიყვარულის ბედნიერების ზეიმია.

დღეს ვარდების ზეიმია.

თბილისი ვარდების ქალაქია.

ღიმილის ქალაქია თბილისი.

ვლ. ალფენიძე.

მაისის ყვავილები.

ფოტოეტიუდი შ. ჩხეტიანისა.

სპარტაკიადის კარგი სტარტი

გუშინ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის სპორტული ბაზები დათმობილი ჰქონდა საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადის მონაწილეებს, სტარტი აიღეს მცურავებმა, წყალში მხტომელებმა, ფეხბურთელებმა, ოგბურთელებმა, მოჭადრაკეებმა, მაგიდის ჩოგბურთელებმა.

140 მოსწავლე სპორტსმენი გამოვიდა ფიზკულტურის პარკის საცურაო აუზის სტარტზე. წარმატება იქნა მოპოვებული 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში. აქ თბილისელმა კ. ანისიმოვმა ჭაბუკთათვის ჩვენი რესპუბლიკის ახალი რეკორდი დამყარა — 2:49,7.

ყველაზე მეტი წარმატება გოგონათა შორის ხვდა ე. ლებრაძეს, მან ბატერფლაის სტილით ცურვაში 200 მეტრზე აჩვენა დრო — 2:51,8, რაც სსრ კავშირის ახალი რეკორდია.

მცურავებს არც წყალში მხტომელები ჩამორჩნენ. როდესაც შეაჯამეს ქულები უკეთესი შედეგი აღმოაჩნდა თბილისელ კ. კალიგინს, რომელმაც შეასრულა ოსტატის ნორმატივი.

პირველ დღეს ჩოგბურთელებს გუნდური ასპარეზობა ჰქონდათ. შედგა სამი მატჩი. მათ შორის აჭარისა და ქუთაისის გუნდების შეჯიბრება დამთავრდა აჭარელ სპორტსმენთა გამარჯვებით 8:6. გამარჯვება მოიპოვეს აგრეთვე თბილისის მეორე და ფოთის გუნდებმა.

სიხარულიც და სინანულიც

სოფია. 1 ივნისი. (ტელეფონით). მსოფლიო ჩემპიონატის პირველი დღის შეხვედრები თავისუფალ ჭიდაობაში ჩვენი სპორტსმენთა წარმატებით აღინიშნა. მაგრამ ყველაფერს უსიურპრიზოდ არ ჩაუვლია.

საერთოდ სტარტზე კარგ შედეგებს მიაღწიეს სსრ კავშირის, იაპონიის, ირანის, თურქეთისა და ბულგარეთის გუნდებმა და უნდა ვივარაუდოთ, რომ სასრბო ადგილებიც სწორედ ამ კოლექტივებს შორის განაწილდება.

მართალია, პირველი წრის შეხვედრათა უმრავლესობა ხასიათდებოდა შეუპოვრობით. მაგრამ ყველაზე პასუხსაგები ბრძოლა მაინც ზ. ბერიაშვილს ჰქონდა მსოფლიოს ჩემპიონ ე. ვილჩევთან (ბულგარეთი. მსუბუქი წონა). ეს ასპარეზობა გამოირჩეოდა შეუპოვრობით. მაღალი ოსტატობით და დამთავრდა ზ. ბერიაშვილის გამარჯვებით ქულებით.

მსოფლიოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა უმჩატეს წონაში ა. ალიევმა (სსრ კავშირი) მეოთხე წუთზე ორივე ბეჭით ხალიჩაზე მიაკრა გერ-ს წარმომადგენელი მ. შნეიდერი. წმინდა გამარჯვება ხვდათ აგრეთვე ა. მედვედს (სსრ კავშირი, ქვემძიმე წონა), ამერიკელ რ. უაინერთან შეხვედრაში, ა. იბრაგიმოვს (სსრ კავშირი, მჩატე წონა) რ. ვერშურენთან (ბელგია) ორთაბრძოლაში, ა. ალბულს (სსრ კავშირი, საშუალო წონა) იუგოსლაველ რ. სალახთან მატჩში.

მსოფლიოს ჩემპიონმა ივანიცკიმ (სსრ კავშირი. მძიმე წონა) ქულებით მოიგო ბ. კუბატს (ჩეხოსლოვაკია), გ. საღარაძეს (ქვეყანაუალო წონა) თოწინააღმდეგის ავადმყოფობის გამო გამარჯვება მიეკუთვნა.

სტარტის სიურპრიზი სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონის ვ. რუბაშვილის წარმატებლობა იყო. იგი ქულებით დამარცხდა ფინელ ა. ისაკართან.

საბჭოთა მოკრივეები ფინალში

ევროპის ჩემპიონატი კრივში ფინიშს უახლოვდება. დღეს გაიმართება დასკვნითი შეხვედრები ათივე წონითს კატეგორიაში და გამოვლინდება ახალი ჩემპიონები, პრიზიორები.

გუშინ შედგა ნახევარფინალური შეხვედრები, რომლებიც კვლავ საბჭოთა მოკრივეების ტრიუმფით აღინიშნა. ათივე საბჭოთა მოკრივე ბრწყინვალედ იბრძოდა და ფინალში გავიდა. ეს იშვიათი მოვლენაა ევროპის პირველობის ისტორიაში.

ყველა საბჭოთა მოკრივეს უკვე მოპოვებული აქვს საპრიზო ადგილი. მაგრამ ვინ იქნებიან ოქროს მედლების მფლობელები ამას შევიტყობთ დღეს.

საბჭოთა მოკრივეებიდან ფინალში გავიდნენ ბისტროვი, სტეპაშკინი, ტუმანში. ლაგუტინი. პოზნიაკი, გრიგორიევი, ნიკანოროვი, ტამოულისი, პოპინჩენკო, აბრამოვი, ისინი შეხვდებიან ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, იტალიის, პოლონეთისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებს.

სსრ კავშირი— იუგოსლავია

გუშინ საბჭოთა კავშირის მოჭადრაკეთა ერთი ჯგუფი ბელგრადს ეწვია, სადაც გაიმართება სსრ კავშირისა და იუგოსლავიის მოჭადრაკეთა გუნდების რიგით მეშვიდე, ტრადიციული მატჩი.

საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში არიან: ვაჟებიდან — კორჩნოი, ავერბახი, შტეინი, ვასიუკოვი, სიმაგინი, მიკენასი, ბანიკი, სეიტინი; ქალებიდან — მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, საერთაშორისო ოსტატები კუშნირი და ზგორიკინა.

ინგლისის ნაკრების ტურნე

ამას წინათ ინგლისში დამთავრდა ფეხბურთის სეზონი და ამ ქვეყნის ნაკრები ტურნეს გასამართავად ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში გაეშგზავნა. პირველად ინგლისელები ბრატისლავას ეწვივნენ და აქ საერთაშორისო მატჩი ჰქონდათ ჩეხოსლოვაკიის ეროვნულ ნაკრებთან.

ჩეხოსლოვაკიელებმა, რომლებიც წელს წარუმატებლად გამოდიან, ამჯერადაც ვერ შეძლეს რეაბილიტაცია და დამარცხება განიცადეს ინგლრიშით 2:4. მორიგი მატჩი ინგლისელებს ექნებათ დღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებ გუნდთან.



მ. ჩიგორინის ხსოვნის აღსანიშნავად

სოჭი საზეიმოდ გაიხსნა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი დიდი რუსი მოჭადრაკის მ. ჩიგორინის ხსოვნის აღსანიშნავად. ტურნირზე გამოდიან სსრ კავშირის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, იუგოსლავიისა და ბულგარეთის გროსმაისტერები და ოსტატები, სულ 12 კაცი.

წილისყრის შედეგები ასეთია: 1. ვ. ჩოკილტია (რუმინეთი), 2. ი. კოზმა (ჩეხოსლოვაკია), 3. ვ. სმისლოვი (სსრ კავშირი), 4. ი. ბილეკი (უნგრეთი), 5. ე. ბიკიჩი (იუგოსლავია), 6. ე. ჰაკი (უნგრეთი), 7. ა. ზაიცევი (სსრ კავშირი), 8. მ. ბობოცოვი (ბულგარეთი), 9. ნ. კოგანი (სსრ კავშირი), 10. ვ. ანტოშინი (სსრ კავშირი), 11. ლ. პოლუგაევსკი (სსრ კავშირი), 12. რ. ხოლმოვი (სსრ კავშირი).

გუშინ გაიმართა პირველი ტური.

დევისის თასზე

ჩოგბურთელთა ტრადიციულ ასპარეზობას დევისის თასზე ხშირად მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატს უწოდებენ. სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად ტურნირზე გამოდიან ჩვენი ქვეყნის სპორტსმენები — თ. ლეიუსი, მ. მოზერი, ს. ლიხაჩევი, ა. მეტრეველი.

თასის მორიგი ტურის ჩასატარებლად საბჭოთა ჩოგბურთელებს მოსკოვში ეწვია ერთ-ერთი ძლიერი კოლექტივი ჩილეკი მთაწმინდა და ვარაზი, ვაკე და ნარიყალა, ქაშუეთი და სოფი...

ვარდი ადნება ღაწვზე მზეთუნახავ თბილისს.

თითქოს ვარდობისთვე დაბრუნებულა დედაქალაქში.

ზეიმია თბილისში — ვარდისა და ვაზის დედაქალაქში.

შექსპირმა ვარდები ხელოვნების შედევრებს შეადარა. ეს რომ სავსებით სამართლიანია, ერთხელ კიდევ დაამტკიცებს თბილისელმა ვარდებისა და ყვავ-

ადამიანები ვართ...

• მოთხრობა •

ლოფელი დაბლობზეა... შუაზე მდინარე მოდის. იმ მდინარის პირას კი მინდვრებია და მინდვრებზე სიმინდის ყანები. მდინარის გაყოლებით შარაგზაა. იქ, სადაც გზა გადის კლდესა და მდინარეს შორის, ვეებერთელა ხის ჭიშკარია, ჭიშკრის იქით ნასვენი მიწებია — საქონელი ბალახობს.

შუადღეა, ცხელა...

კლდეს ხემოღონ გოგო-ბიჭები გამოჩნდნენ, წუთით შეჩერდნენ, თითქოს რაღაც მოელაპარაკესო, მერე ორი მარცხივ დაეშვა. გოგონამ, კალათი რომ ეჭირა, საცალფეხო ბილიკი ჩამოირბინა, ჭიშკრის გვერდით ალაგეზე გადმოხტა და მდინარის ნაპირს გაუყვა.

ახლომახლო მხოლოდ ერთი ბებერი კაკალი ხე იდგა, ხის ჩრდილში სიმინდის ფოთლით თავდაცობილი დოქი, ხის გამბმარ შტოზე გახუნებული ცისფერი ნალათი ეკიდა.

— მამა ჯერ არ წასულ! — გაიფიქრა გოგონამ და წყლის საწრეტი არხის პირას შედგა. ერთ წუთს დაფიქრდა და დაიძახა — ბაბაია.. ბაბაია!

— ჰაუ! აქა ვარ, მოვდივარ! — მოესმა გოგონას.

კურდღელივით შეხტა სიმინდებში, მამას შეეგება...

— ორმოცი კილოგრამი მოკრიფე, ბაბ! — მიაძახა...

მამამ გაუღიმა, თავზე ხელი გადაუსვა, — ყორაღი გოგო ხარო, მოუწონა.

...შინისაკენ მიბიჯეებდნენ. ღელეს რომ მიუახლოვდნენ, მამა შეჩერდა, უკან მოიხედა. აქ იწყებოდა მისი ყანა, თავდებოდა იმ კაკლის ხესთან...

მერე კვლავ განაგრძეს გზა; ღელეს გავიდნენ, ნაპირზე ძეწნის ხე იდგა, ხეზე საცალფეხო ხიღის ერთი ბოლო იყო მიბმული... აქ უცებ შედგა გოგონა.

— დიდუ! რამდენი საქონელია ყანაში! — შესძახა...

— სად? — ჩაეკითხა მამა.

— აი, ბიძია მიხეილის ნაკვეთში, — სხაპასხეპით თქვა და ადგილს მოსწყდა. მამა თითქოს გაქვავდა, გაირინდა, მერე ხელი მრავლისმთქმელად ჩაიქნია და შესძახა:

— დაიცა! ნუ გარბიხარ, მობრუნდი ახლავე!..

გოგონა შედგა.

— რა იყო, ბაბა? — გადმოსძახა.

ბავშვმა პასუხი ვერ მიიღო, ნელი ნაბიჯით წამოვიდა, რომ მიუახლოვდა, სახეში ჩახედა... მამას თვალები დაეხარა...

— მამა, რას გაჩუმებულხარ, რას უყურებ? ხომ ხედავ საქონელი აფუჭებს ყანას!..

შენი საქმე არ არის!.. ჩაილაპარაკა მამამ.

გოგონა გაოგნებული მიაბიჯებდა, უკან იხედებოდა...

— ბაბაია! — დაიძახა ისევ და კვლავ მამას გახედა.

— გეყოფა — წადი, წადი-მეთქი...

* * *

ჭარი ქრის, ძლიერი ქარი. ჰაერში მტვერი ტრიალებს, მტვერში ფოთლები, ნაფოტები, ფიჩხები...

ჩამწკრივებულ ალვისხეთა კენწეროები იხრევიან, ეხლებიან ერთმანეთს, რტოები ილეწება. ქარი ბუზღნებს, ქარი წვიმს ელექტრომავთულებში, ლობე ნახევრად ფაფენილია, ჭიშკარი (ალყებად ჰკიდია. ქარი არხევს... ქარი არწევს ოდას, ჭრეჭინი გაავქეს... წუხელ მთელი ღამე გრიალებდა, ჯანთიადისას იძალა, კრამიტი აგლიჯა, გადაყარა...

ეზოში დახუნძლული ხეხილი იდგა, დაბერტყა, გოჭები ახარამუნებენ ვაშლსა და მსხალს, ღორებს გაეკვნა ჩქამ-ჩქამი.

მესამე დღეა უბერავს. ქრის და ქრის... ამაოდ თუ არ ჩადგა, მერე მთელი კვირა გასტანს.. რა ქნას, მიხეილი გულშემოყრილივით დაბორიალობს, წუთით ვერ ჩერდება შინ, რამდენჯერმე მორნახულა ყანა. სანამ არ ჩადგება, ვერას უშველის...

დაღამდა. პატარებს სძინავთ, უფროსებს თვალი ვერ მოუხუჭავთ. მიხეილი ზმორად გაიხედავს ფანჯრიდან. ცა ისევე მოწმენდილია, ვარსკვლავები ისე ბრკყვიალებენ, თითქოს ცეცხლი ეკიდებათო, ღრუბლის ნაფლეთიც არ ჩანს არსადა...

წევს მიხეილი, ფიქრი ეხვევა, სიმინდის აღებამდე გლეხკაცს ბევრი აქვს საფიქრებელი, საზრუნავი... აი თუნდაც ახლა, მშვენიერი პური უჩანდა ყანას, მაგრამ ბუნების ძალას რა გაუძღებს... რა დაუდგება!.. მერედა წელს უფრო მეტი ვალდებულება იკისრა, მეტი ვიდრე ოდესმე. თაბაც კარის მეზობელი ნიკო გამოიწვია შეჯიბრებაში, მერე კრებაზე საყვედურიც არ დაკლო, საკარმიდამო ნაკვეთზე უფრო მუყაითობსო...

გაბრაზდა ნიკო, არ მოეწონა პირდაპირობა.

— შენ ვინ გეკითხებაო, — ესროლა მკვახედ.

მიხეილი წამოდგა, დაშრეტილ თვალის უპეში, რომლიდანაც ხშირად ცრემლი სდიოდა, ცხვირსახოცი ამოისვა, დაახამხამა ცალად დარჩენილი შავი თვალი და ირიბად გახედა. უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ხელი ჩაქნია, ჩაიღიმა, იცოდა, რა ენაჭარტალაც იყო ნიკო, საჭიროდაც არ ჩათვალა რაიმე ეთქვა, კვლავ დაჯდა...

ღამით აივანზე ბევრჯერ გაედგა, ცას ეკითხა... ნუთუ ამეღამ მაინც არ გაყუჩდებაო, — ჩაილაპარაკა, კვლავ ჩაწვა... შუაღამისას ჩაეძინა მიხეილს.

მამლის ყიივლმა განთიადისას გამოაღვიძა, მისი ტახტი ფანჯარასთან იდგა, წამოიწია, გაადო. გარეთ ოდნავ ირხეოდნენ ხეები, სიჩუმე იყო, სიჩუმე...

გაბარებული ფრთხილად ადგა. ცოლს ეძინა, გუშინ მთელი დღე ჩაის კრეფდა, მის ფართობს ქარსაფარი იცავდა, მაგრამ მაინც საკმაოდ ძლიერ ქროდა, მერე საღამოთი რეცხვა, დაუთოება...

ახლა არ უნდოდა გაეღვიძებინა, ცერებზე გავიდა მეორე ოთახში. შუქი აანთო. თოთხმეტი წლის ბიჭს მურმანს ისევ ტკბილად ეძინა, არაფერი გაუგია. ყმაწვილის ძილი ხომ ტკბილი და ღრმაა. მიეკარა მასთან, შებლზე ხელი გადაუსვა, ჩასჩურჩულა, ეძინელებოდა გაღვიძება, მაგრამ იცოდა მისი ამბავი, ყველაზე ადრე წამოდგებოდა ხოლმე ფა, მამას რომ შინ ვერ იპოვნიდა, ჯაერობდა, რატომ არ გამაღვიძეთ, მეც წავყვებოდიო...

ადრიან დილით მხარზე თოხგადებულ მამა და შვილი გავიდნენ ჭიშკარს, მიხეილს ცალ ხელში ნამგალი ეჭირა, მურმანს კი ჭადი და ყველი, გემრიელად ილუკმპებოდა...

შარაგზას გაჰყვნენ, მერე ჩაის ფართობის გაღლით გზა შეიმოღლეს და მდინარის პირად გავიდნენ...

შეჩერდნენ.

— კიდევ ქარგად გადარჩენილა, — ჩაილაპარაკა მიხე